

შპს ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	9
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	13
5. სავაჭრო მოთხოვნები	13
6. მარაგები	13
7. ძირითადი საშუალებები	14
8. სავაჭრო ვალდებულებები.....	15
9. სესხები	16
10. ლიზინგის ვალდებულებები	16
11. საწესდებო კაპიტალი	16
12. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	17
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17
14. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	18
15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	18
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	18

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19 (გადაანგარიშებული)	31-12-18 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	27,675	174,033	65,414
სავაჭრო მოთხოვნები	5	117,415	99,690	77,019
მარაგები	6	136,289	220,612	280,562
სხვა მიმდინარე აქტივები		18,074	40,904	2,624
სულ მოკლევადიანი აქტივები		299,453	535,239	425,619
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	510,989	689,172	846,300
არამატერიალური აქტივები		12,059	13,782	15,505
სულ გრძელვადიანი აქტივები		523,048	702,954	861,805
მთლიანი აქტივები		822,501	1,238,193	1,287,424
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	351,071	289,247	202,478
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		3,838	25,104	22,076
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		26,603	1,272	560
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		381,512	315,623	225,114
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	9	693,458	742,654	396,435
ლიზინგის ვალდებულებები	10	134,397	147,736	187,142
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		827,855	890,390	583,577
მთლიანი ვალდებულებები		1,209,367	1,206,013	808,691
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	1,436,328	1,435,528	1,307,743
აკუმულირებული ზარალი		(1,823,194)	(1,403,348)	(829,010)
სულ საკუთარი კაპიტალი		(386,866)	32,180	478,733
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		822,501	1,238,193	1,287,424

აღმასრულებელი დირექტორი -----

ვაჟა ცინცაძე

შპს ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-12-20	31-12-19 (გადაანგარიშებული)	31-12-18 (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	27,675	174,033	65,414
სავაჭრო მოთხოვნები	5	117,415	99,690	77,019
მარაგები	6	136,289	220,612	280,562
სხვა მიმდინარე აქტივები		18,074	40,904	2,624
სულ მოკლევადიანი აქტივები		299,453	535,239	425,619
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	510,989	689,172	846,300
არამატერიალური აქტივები		12,059	13,782	15,505
სულ გრძელვადიანი აქტივები		523,048	702,954	861,805
მთლიანი აქტივები		822,501	1,238,193	1,287,424
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	351,071	289,247	202,478
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		3,838	25,104	22,076
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		26,603	1,272	560
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		381,512	315,623	225,114
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	9	693,458	742,654	396,435
ლიზინგის ვალდებულებები	10	134,397	147,736	187,142
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		827,855	890,390	583,577
მთლიანი ვალდებულებები		1,209,367	1,206,013	808,691
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	1,436,328	1,435,528	1,307,743
აკუმულირებული ზარალი		(1,823,194)	(1,403,348)	(829,010)
სულ საკუთარი კაპიტალი		(386,866)	32,180	478,733
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		822,501	1,238,193	1,287,424

აღმასრულებელი დირექტორი



ვაჟა ცინცაძე

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	883,044	1,623,237
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12	(476,923)	(947,600)
საერთო მოგება		406,121	675,637
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(321,232)	(546,123)
ხელფასები და სხვა სარგებელი	14	(287,975)	(501,508)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(193,921)	(186,158)
სხვა შემოსავლები		21,172	69,867
სხვა ხარჯები		(3,369)	(12,451)
ზარალი პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(379,204)	(500,736)
საპროცენტო ხარჯი		(39,826)	(70,991)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(816)	(2,611)
ზარალი დაბეგვრამდე		(419,846)	(574,338)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(419,846)	(574,338)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)		1,307,743	(829,010)	478,733
წმინდა ზარალი		-	(574,338)	(574,338)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	11	127,785	-	127,785
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	11	1,435,528	(1,403,348)	32,180
წმინდა ზარალი		-	(419,846)	(419,846)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	11	800	-	800
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	11	1,436,328	(1,823,194)	(386,866)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
საოპერაციო საქმიანობა			
ზარალი დაბეგვრამდე		(419,846)	(574,338)
კორექტირებები:			
საპროცენტო ხარჯი		39,826	70,991
ზარალი საკურსო სხვაობიდან		816	2,611
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		193,921	186,158
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		(17,725)	(22,671)
ცვლილება მარაგებში		84,323	59,950
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში		22,830	(38,280)
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში		61,824	86,769
ცვლილება გადასახდელ ხელფასებსა და სხვა სარგებელში		(21,266)	3,028
ცვლილება სხვა მიმდინარე ვალდებულებებში		25,331	712
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(29,966)	(225,070)
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(14,015)	(27,307)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(14,015)	(27,307)
ფინანსური საქმიანობა			
პროცენტის გადახდა		(40,457)	(70,381)
სესხის (დაფარვა)/აღება		(48,849)	345,391
ლიზინგის გადახდა		(13,055)	(39,188)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	11	800	127,785
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		(101,561)	363,607
სავალუტო კურსის ეფექტი		(816)	(2,611)
ფული და ფულის ექვივალენტების ზრდა		(146,358)	108,619
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	5	174,033	65,414
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	5	27,675	174,033

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯია დაფუძნდა 2017 წლის 16 თებერვალს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 43, ბ. N42. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405190742. კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები: ვაჟა ცინცაძე (პ/ნ 01008005845) - 46%, ლევან კანკია (პ/ნ 01008018694) - 27%, გივი ცინცაძე (პ/ნ 01024038982) - 27%.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სარესტორნო ბიზნესი. მისი ნიშური სეგმენტია ლუდის მომხმარებლები. კომპანიას აქვს როგორც ადგილზე მომსახურების, ასევე მიწოდების სერვისი. გარდა ამისა, კომპანია ახდენს ლუდის იმპორტს და ადგილობრივ ქსელებზე რეალიზაციას. მისი ბრენდული სახელია „9 მთა“.

კომპანია საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი - ვაჟა ცინცაძე (პ/ნ 01008005845).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში.

COVID-19-ის პერიოდში, ტურისტულმა და სარესტორნო ბიზნესმა განსაკუთრებული დარტყმა მიიღო მომხმარებლების რაოდენობის შემცირების გამო, თუმცა ამ ანგარიშგების თარიღისთვის, რესტორანი გახსნილია და სრული დატვირთვით ფუნქციონირებს, როგორც ადგილზე ისე მიწოდებით. მენეჯმენტმა გააკეთა პროგნოზი და შესაბამისი ანალიზი, რაზე დაყრდნობითაც მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს–ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2020 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და მცირედით დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ყველა ის ფინანსური უწყისი, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	31-12-19	31-12-18	31-12-17
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	158,054	65,414	6,277
სავაჭრო მოთხოვნები	100,030	77,019	11,689
მარაგები	220,612	280,562	315,254
სხვა მიმდინარე აქტივები	38,848	1,259	436,374
სულ მოკლევადიანი აქტივები	517,544	424,254	769,594
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	689,172	846,300	390,712
არამატერიალური აქტივები	13,782	17,228	9,797
სულ გრძელვადიანი აქტივები	702,954	863,528	400,509
მთლიანი აქტივები	1,220,498	1,287,782	1,170,103
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	283,903	196,923	-
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	25,105	22,076	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	309,008	218,999	-

შპს ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	726,893	396,435	-
ლიზინგის ვალდებულებები	147,736	187,142	243,090
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	874,629	583,577	243,090
მთლიანი ვალდებულებები	1,183,637	802,576	243,090
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	1,435,528	1,307,743	1,109,037
აკუმულირებული ზარალი	(1,398,667)	(822,537)	(182,024)
სულ საკუთარი კაპიტალი	36,861	485,206	927,013
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	1,220,498	1,287,782	1,170,103

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	31-12-19	31-12-18
შემოსავალი რეალიზაციიდან	1,623,237	1,188,131
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(947,600)	(742,787)
საერთო მოგება	675,637	445,344
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(546,194)	(510,049)
ხელფასები და სხვა სარგებელი	(501,508)	(401,879)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(187,881)	(146,983)
სხვა შემოსავლები	69,867	51,498
სხვა ხარჯები	(12,449)	(29,615)
ზარალი პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე	(502,528)	(591,684)
საპროცენტო ხარჯი	(70,991)	(44,542)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(2,611)	(4,287)
ზარალი დაბეგვრამდე	(576,130)	(640,513)
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ზარალი	(576,130)	(640,513)

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სამზარეულოს ინვენტარი და მანქანა-დანადგარები	10
ქონების კეთილმოწყობა და ნაგებობები	10
ლიზინგით აღებული აქტივები	10
ოფისის აღჭურვილობა	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10
სხვა ძირითადი საშუალებები	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პატენტსა და ბრენდბუქს. ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება სასარგებლო მომსახურების 10 წლიანი ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

3.4 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მისი საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას გააჩნია როგორც მზა პროდუქცია, ასევე ნედლეული და ნახევარფაბრიკატები. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

3.5 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

3.6 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.7 ლიზინგის ვალდებულებები

ლიზინგის ვალდებულება წარმოადგენს ძირითადი საშუალების შემენისას წარმოქმნილ ვალდებულებას. ლიზინგის ვალდებულების უზრუნველყოფას წარმოადგენენ თავად ის აქტივები რომელთა შემენაც მოხდა ლიზინგის საშუალებით. ლიზინგის ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული აქტივების ღირებულებით. ლიზინგის ვალდებულების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.8 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.9 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.10 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას აქვს ფული სალაროში.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-20	31-12-19
ფული სალაროში	24,491	22,010
ფული საბანკო ანგარიშებზე	3,184	152,023
სულ	27,675	174,033

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმპორტირებული ლუდის ადგილობრივ ქსელებზე რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნებისგან. გარდა ამისა, სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს კომერციული ბანკებისგან მისაღებ ანგარიშებს, რომელიც წარმოიქმნება მაშინ როცა კომპანია ტერმინალით იღებს გადახდას მომხმარებლებისგან.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-20	31-12-19
მოთხოვნები მიწოდებიდან	108,427	85,770
მოთხოვნები ბანკებისგან	8,988	13,920
სულ	117,415	99,690

6. მარაგები

კომპანიას გააჩნია როგორც მზა პროდუქცია, ასევე ნედლეული და ნახევარფაბრიკატები.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

მარაგები	31-12-20	31-12-19
მზა პროდუქცია	110,956	203,304
ნედლეული და მასალები	25,333	17,308
სულ	136,289	220,612

7. ძირითადი საშუალებები

2020 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
სამზარეულოს ინვენტარი და მანქანა-დანადგარები	137,602	816	138,418
ქონების კეთილმოწყობა და ნაგებობები	415,867	5,483	421,350
ლიზინგით აღებული აქტივები	264,096	-	264,096
ოფისის აღჭურვილობა	33,920	585	34,505
ავეჯი და სხვა ინვენტარი	158,664	-	158,664
სხვა ძირითადი საშუალებები	11,092	7,131	18,223
სულ	1,021,241	14,015	1,035,256

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
სამზარეულოს ინვენტარი და მანქანა-დანადგარები	19,144	10,860	30,004
ქონების კეთილმოწყობა და ნაგებობები	144,610	84,092	228,702
ლიზინგით აღებული აქტივები	96,774	52,710	149,484
ოფისის აღჭურვილობა	11,331	6,922	18,253
ავეჯი და სხვა ინვენტარი	56,655	32,534	89,189
სხვა ძირითადი საშუალებები	3,555	5,080	8,635
სულ	332,069	192,198	524,267

2019 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
სამზარეულოს ინვენტარი და მანქანა-დანადგარები	136,301	1,301	137,602
ქონების კეთილმოწყობა და ნაგებობები	405,555	10,312	415,867
ლიზინგით აღებული აქტივები	264,096	-	264,096
ოფისის აღჭურვილობა	30,435	3,485	33,920
ავეჯი და სხვა ინვენტარი	152,503	6,161	158,664
სხვა ძირითადი საშუალებები	5,044	6,048	11,092
სულ	993,934	27,307	1,021,241

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
სამზარეულოს ინვენტარი და მანქანა-დანადგარები	8,389	10,755	19,144
ქონების კეთილმოწყობა და ნაგებობები	63,448	81,162	144,610
ლიზინგით აღებული აქტივები	44,209	52,565	96,774
ოფისის აღჭურვილობა	5,058	6,273	11,331
ავეჯი და სხვა ინვენტარი	25,002	31,653	56,655
სხვა ძირითადი საშუალებები	1,528	2,027	3,555
სულ	147,634	184,435	332,069

8. სავაჭრო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-20	31-12-19
იჯარის ვალდებულებები	185,240	136,973
ვალდებულება ნედლეულისა და მომსახურების მომწოდებლების მიმართ	145,689	132,132
ვალდებულება სარეკლამო მომსახურებაზე	20,142	20,142
სულ	351,071	289,247

9. სესხები

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სესხები	31-12-20	31-12-19
სესხები ბანკებისგან	517,140	538,051
სესხები ფიზიკური პირებისგან	130,394	131,962
სესხები დამფუძნებლისგან	45,924	72,641
სულ	693,458	742,654

კომპანიას მიღებული ქონდა სესხები ქართული კომერციული ბანკისგან. საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 14%-ს 2020 და 2019 წლებში.

10. ლიზინგის ვალდებულებები

კომპანიას აქვს ლიზინგის ვალდებულებები ძირითადი საშუალებების შესაძენად. კომპანიის საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია მეიჯარის უფლებით საიჯარო აქტივებზე. ლიზინგის პირობების დარღვევის შემთხვევაში მეიჯარეს აქვს უფლება დაისაკუთროს ხელშეკრულებით ნაყიდი ძირითადი საშუალებები. აღნიშნული ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებამ 2020 წლის ბოლოს შეადგინა 114,612 ლარი, ხოლო 2019 წლის ბოლოს 167,322 ლარი (იხ. შენიშვნა 7).

ლიზინგის ვალდებულებების საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 16%-ს 2020 და 2019 წლებში.

11. საწესდებო კაპიტალი

2020 წელს დამფუძნებელმა კაპიტალი გაზარდა 800 ლარით, ხოლო 2019 წელს 127,785 ლარით.

12. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სარესტორნო ბიზნესი, მათ შორის ადგილზე მომსახურებისა და მიწოდების სერვისი. გარდა ამისა, კომპანია ახდენს ლუდის იმპორტსა და ადგილობრივ ქსელებზე რეალიზაციას.

2020 და 2019 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	31-12-20	31-12-19
შემოსავალი ფასდათმობებამდე	893,462	1,636,169
ფასდათმობები და შეღავათები	(10,418)	(12,932)
წმინდა შემოსავლები	883,044	1,623,237
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(476,923)	(947,600)
საერთო მოგება	406,121	675,637

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-20	31-12-19
იჯარის ხარჯი	137,912	273,800
კომუნალური ხარჯი	49,368	70,688
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები	26,708	51,368
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	22,978	30,390
საბანკო ხარჯი	15,022	24,528
ჰიგიენისა და სადეზინფექციო ხარჯები	13,124	16,823
საკონსულტაციო ხარჯი	6,807	8,800
სხვა ხარჯები	49,313	69,726
სულ	321,232	546,123

14. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-20	31-12-19
სახელფასო ხარჯი	282,030	491,834
პენსია და სხვა სარგებელი	5,945	9,674
სულ	287,975	501,508

15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

15.1 სესხები

2020 და 2019 წლებში კომპანიას აღებული ჰქონდა სესხები დამფუძნებლებისა და სხვა დაკავშირებული მხარეებისგან. აღნიშნული სესხების ბალანსები წარმოდგენილია ქვემოთ:

სესხები	31-12-20	31-12-19
სესხები დამფუძნებლისგან	45,924	72,641
სესხები სხვა დაკავშირებული მხარეებისგან	130,394	131,962
სულ	176,318	204,603

15.2 მენეჯმენტის კომპენსაცია

2020 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 55,455 ლარი, ხოლო 2019 წელს 103,855 ლარი. 2020 წელს კომპენსაციის მნიშვნელოვანი შემცირება განპირობებული იყო პანდემიის მიერ გამოწვეული კრიზისით.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წელს კომპანიაში განხორციელდა მენეჯერის ცვლილება. კომპანიის დირექტორი უცვლელი დარჩა. აღნიშნული ცვლილების შემდგომ, კომპანია ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს მომხმარებლებისთვის სარესტორნო მომსახურების მიწოდებას.